საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარიკა არევაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარინე ცუცქირიძე – კოლეგიის წევრი

ინგა ნებიერიძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ლ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.11.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 094/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. კ.-ს /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2023 წლის 16 ნოემბერს საჩივრით მომართა ლ. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის 2024 წლის 17 იანვრის სხდომაზე.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2023 წლის 16 მარტს მან ადვოკატ ნ. კ.-ს მისცა მინდობილობა, რათა ადვოკატს ეწარმოებინა მისი საქმე. კერძოდ კი დახმარებოდა შეუსრულებელი სამუშაოდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებაში ხელოსნისგან - გ. მ.-სგან, რომელმაც აუშენა კოტეჯი.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატს მომსახურების ღირებულების სახით გადასცა 1500 ლარი; ექსპერტიზის ჩასატარებლად 380 ლარი; დამატებით, სესხის სახით, ადვოკატს გადასცა 150 ლარი. საჩივრის ავტორის განმარტებით, თანხის გადახდის შემდეგ ადვოკატი მის ზარებს აღარ პასუხობდა დაახლოებით 1 თვის განმავლობაში, რის გამოც მან

მიაკითხა საცხოვრებელ მისამართზე. ადვოკატმა განუმარტა, რომ გადაეღო კოტეჯისათვის ფოტოები, რათა გადაეცა ექსპერტისათვის, დასკვნის მოსამზადებლად. მან ადვოკატს 2023 წლის 6 მაისს გადასცა მეხსიერების ბარათი, კოტეჯის ფოტოებით. ამავე დღეს ისინი ესაუბრნენ მშენებელ გ. მ.-ს, მიაწოდეს ინფორმაცია, რომ მის ინტერესებს დაიცავდა ადვოკატი ნ. კ. და 10 მაისს დაგეგმეს შეხვედრა, რომელიც არ შედგა ადვოკატ ნ. კ.-ს მიზეზით. ექსპერტიზასთან დაკავშირებით კი საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ მისი ინფორმაციით ადვოკატი ექსპერტიზის ჩატარებას ვერ შეძლებდა მხოლოდ ფოტოებით და ადვოკატი მას ატყუებდა.

1.4 ადვოკატი დაპირდა, რომ სარჩელთან ერთად სასამართლოს მიმართავდა მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებითაც, ამავე დროს, მათ ჰქონდათ მორიგების იმედიც, თუმცა ადვოკატს მის საქმეზე არაფერი გაუკეთებია.

1.5 რადგან მშენებელთან შეხვედრა არ შედგა, ის მეორე დღეს მივიდა ადვოკატთან, აცნობა რომ წყვეტდა მასთან ურთიერთობას და მოსთხოვა გადაცემული თანხის დაბრუნება. ადვოკატმა გადაცემული თანხიდან დაუბრუნა მხოლოდ 1900 ლარი და დასაბრუნებელი აქვს 130 ლარი. საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატმა საქმის მასალები სრულად დაუბრუნა. ამჟამად, საჩივრის ავტორი ეთიკის კომისიისგან ითხოვს ადვოკატმა დაუბრუნოს თანხის დარჩენილი ნაწილი, 130 ლარი.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. კ.-მ 2024 წლის 23 იანვარს მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, სადაც განმარტა, რომ ლ. მ.-მ მას მიმართა 2023 წლის თებერვალში და სთხოვა დახმარებოდა სამშენებლო კომპანიასთან ურთიერთობაში, რომელმაც 18000 აშშ დოლარი გადაახდევინა და ამ ღირებულების სამუშაო არ შეუსრულებია, რეალურად შესრულებული იყო 11000 აშშ დოლარის ღირებულების სამუშაოები. ადვოკატის განმარტებით, აქ ჩანდა სისხლის სამართლებრივი დავის ნიშნები, რადგან ადგილი ჰქონდა მოტყუებას. თუ საქმის წარმოების პერიოდში გამოიკვეთებოდა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის საკითხები, ამ შემთხვევაში შეიძლებოდა ფიქრი სამოქალაქო საქმის წარმოებაზე, თუმცა მან კლიენტთან ურთიერთობა დაიწყო როგორც სისხლის სამართლის საქმის ადვოკატმა.

2.2 ადვოკატის პოზიციით, პირველი კონსულტაციის შემდეგ, მას ლ. მ. გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ დაკავშირებია. მისი ინფორმაციით, ამ პერიოდში ლ. მ. მოლაპარაკებას აწარმოებდა მშენებელთან. რადგან მათ შორის მოლაპარაკება ვერ შედგა, ლ. მ. ისევ მივიდა მასთან მარტში, რა დროსაც შეთანხმდნენ, რომ მას როგორც ადვოკატს უნდა დაეწყო საქმის წარმოება. ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტს მარტშივე განუმარტა, რომ იმ ეტაპზე აწარმოებდა ისეთ საქმეებს, რომელთა გამოც შესაძლოა მისი საქმის წარმოება ვერ დაეწყო მყისიერად და დაგვიანებოდა. ამის შემდეგ კლიენტი კიდევ ერთი თვე არ გამოჩნდა და როდესაც მივიდა, გადაურიცხა თანხა და სთხოვა საქმის წარმოების დაწყება. ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტს აცნობა, რომ როგორც კი შეძლებდა, დაიწყებდა მისი საქმის წარმოებას.

2.3 ამის შემდეგ მას მიმართა კლიენტმა და უთხრა, რომ მისი საქმის წარმოებას აგვიანებდა და მისთვის დაებრუნებინა გადაცემული თანხა, რადგან აღარ სურდა ადვოკატს ეწარმოებინა მისი საქმე. ადვოკატი ვარაუდობს, რომ კლიენტმა მშენებელთან მიაღწია შეთანხმებას.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მან კლინტს სრულად დაუბრუნა მიღებული თანხა, გარდა 130 ლარისა, რომელიც წარმოადგენდა კონსულტაციის ღირებულებას. საჩივრის ავტორმა მასთან კონსულტაცია გაიარა რამდენჯერმე. ადვოკატის პოზიციით, კლიენტმა მასთან ურთიერთობა ისე შეწყვიტა, რომ მას საადვოკატო მოქმედებების განხორციელება არ დაუწყია, შესაბამისად, დაუბრუნა თანხა სრულად, გარდა კონსულტაციის ღირებულებისა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ექსპერტიზის ჩატარება ვერ მოესწრო (ექსპერტს ობიექტი ადგილზე უნდა შეეფასებინა) ექსპერტის განრიგიდან გამომდინარე, რომლის თანხაც ასევე დაუბრუნდა კლიენტს.

2.6 ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტისაგან სესხი არ აუღია, 150 ლარი წარმოადგენდა საქმის წარმოების ხარჯს, რომელიც კლიენტს ასევე დაუბრუნა.

IV სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. კ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - სისხლი.

3.2 ლ. მ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2023 წლის 16 ნოემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2023 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ნ. კ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ნ. კ.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მის საქმეზე არ განახორციელა საადვოკატო მოქმედებები; ადვოკატი არ აწვდიდა ინფორმაციას და არ უბრუნებს გადაცემული საადვოკატო მომსახურების თანხის დარჩენილ ნაწილს - 130 ლარს;

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. კ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა და შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

5.2.2 ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).

5.2.3 ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

5.2.4 კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

5.3 ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების შემდეგ, ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა, რაც გულისხმობს იმ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, რომლებიც მან, როგორც ადვოკატმა, აიღო კლიენტთან შეთანხმებით, მისი საქმის საწარმოებლად. აღნიშნული ვალდებულებების შესრულებისას ადვოკატმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ცოდნა და უზრუნველყოს კლიენტის სათანადო წესით დაცვა. ადვოკატმა კლიენტთან უნდა შეათანხმოს ამ უკანასკნელის საქმეზე განსახორციელებელი მოქმედებები, რაც გულისხმობს კლიენტისგან ინფორმაციის მიღებას, მისი პოზიციის, მოთხოვნის გაგებას და შემდეგ ადვოკატის მიერ კლიენტისათვის პროფესიული რჩევის მიცემას, მომავალში განსახორციელებელი ქმედებების თაობაზე. კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად მომსახურების ვალდებულება ადვოკატისგან ასევე მოითხოვს საქმის მასალებისა და თითოეული გარემოების დაწვრილებით გაცნობას, რადგან აღნიშნულს შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს კლიენტის ინტერესისთვის. ადვოკატმა კლიენტთან უნდა შეათანხმოს დაცვის სტრატეგია და მოსალოდნელი შედეგების შესახებ მოახდინოს კლიენტის ინფორმირება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების კვალიფიციურობის შემოწმებისას მის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება, რაც საადვოკატო საქმიანობის პროფესიული დამოუკიდებლობის პრინციპის ნაწილია. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურება არ უნდა დაემსგავსოს ფორმალურ წარმომადგენლობას, ვინაიდან კლიენტი იმის გამო სარგებლობს ადვოკატის მომსახურებით, რომ მას აქვს ის სპეციალური ცოდნა და უნარები, რაც კლიენტს არ გააჩნია.

5.4 „ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა აღნიშნული გაანგარიშება უნდა იყოს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციული“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #098/17).

5.5 მხარეთა პოზიციებიდან გამომდინარე უდავოა, რომ ლ. მ.-მ ადვოკატ ნ. კ.-ს სამართლებრივი დახმარების მისაღებად მიმართა 2023 წლის მარტში. საქმეში წარმოდგენილი 2023 წლის 16 მარტის N მინდობილობით დასტურდება, რომ ნ. კ.-მ აიღო ვალდებულება ეწარმოებინა ლ. მ.-ს საქმე ყველა ინსტანციის სასამართლოში. ამასთან, ადვოკატს თავდაპირველად უნდა

ეწარმოებინა მშენებელთან მოლაპარაკება და შემდეგ საქმე წაეყვანა სისხლის სამართლის კუთხით. იმ შემთხვევაში, თუ საქმეში გამოვლინდებოდა სამოქალაქო კუთხით წარმოების საჭიროება, ადვოკატი ამ კუთხითაც ჩაერთვებოდა საქმის წარმოებაში. საქმეში საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი საბანკო ამონაწერით დგინდება, რომ საჩივრის ავტორმა ადვოკატს მომსახურების ჰონორარისა და საქმის წარმოების ხარჯებისათვის (ექსპერტიზის ჩასატარებლად) სახით გადასცა შემდეგი თანხები: 16.03.2023 – 1500 ლარი; 17.03.2023 – 380 ლარი; 06.05.2023 - 150 ლარი; 01.06.2023 – 1000 ლარი; 07.06.2023 – 500 ლარი; 30.07.2023 – 400 ლარი.

5.6 ადვოკატმა დაადასტურა, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კლიენტთან არ ჰქონდა კომუნიკაცია, რაც გამოწვეული იყო მისი პირადი პრობლემით და დატვირთული სამუშაო განრიგით, რის შესახებაც კლიენტს აცნობა ურთიერთობის დასაწყისში. მას ლ. მ.-ს საქმის წარმოება არ დაუწყია, ასევე, ლ. მ. დამოუკიდებლად აწარმოებდა მშენებელთან მოლაპარაკებას და პირველ ეტაპზე არ ჩქარობდა ადვოკატის მომსახურებით სარგებლობას. საადვოკატო ურთიერთობა დასრულდა ლ. მ.-ს სურვილით, იმის გამო, რომ ადვოკატმა მისი საქმის წარმოება დროულად არ დაიწყო. საადვოკატო ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ადვოკატმა კლიენტს სრულად დაუბრუნა გადაცემული საადვოკატო მომსახურების თანხა, გარდა კონსულტაციის 130 ლარისა. ლ. მ. ადასტურებს, რომ ადვოკატმა დაუბრუნა გადაცემული საადვოკატო მომსახურების თანხა, გარდა 130 ლარისა, რაზეც მიიჩნევს, რომ ეს თანხაც უნდა დაუბრუნოს ადვოკატმა, რადგან არ გამოუმუშავებია.

5.7 კოლეგია ვერ შეაფასებს ადვოკატ ნ. კ.-ს მიერ გაწეულ საადვოკატო მომსახურებას, რადგან მას საქმის წარმოება არ დაუწყია. უდავოა და მხარეები ადასტურებენ, რომ ადვოკატმა ლ. მ.-ს რამდენჯერმე გაუწია საადვოკატო კონსულტაცია, რაშიც აიღო კონკრეტული, გონივრული ანაზღაურება - 130 ლარი. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გადაცემული დანარჩენი თანხა, რომელიც წარმოადგენდა ადვოკატის ჰონორარს და საქმის წარმოების ხარჯებს (ექსპერტიზის თანხას), ადვოკატმა კლიენტს სრულად დაუბრუნა.

5.8 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, საჩივრის ავტორმა ვერ დაადასტურა ადვოკატის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5 (ა) და 6.2 მუხლების, ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5, 8,6 და 8.15 მუხლების დარღვევა, რის გამოც არ არსებობს ადვოკატ ნ. კ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.9 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 27, 30.1, 31, 32-ე, 33-ე მუხლებით; დებულების 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №094/23 ადვოკატ ნ. კ.-ს მიმართ /სიითი N/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/